შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№33 (9.598)

1-7 სექტემბერი 2013 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

წყლის პრობლემა და გამრიცხველიანების დილემა დედოფლისწყაროს სოფლებში

ქედების ზონაში წყალმომარაგების ქსელის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო. ზემო ქედში სოფლის რამდენიმე ქუჩაზე ახალი მილების ჩაწყობა მიმდინარეობს. როგორც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობაში განმარტავენ, სოფლის იმ ნაწილში სადაც ამჟამად წყალი არის, მილების რეაბილიტაცია განხორციელდება. გამგეობის პრესსამსახურის ცნობით, ამ სოფლებში წყალმომარაგების ქსელის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის მეშვეობით მიმდინარეობს.

ამას გარდა, არსებული ამორტიზირებული წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია და ახალი ქსელის გაყვანა მიმდინარეობს სოფელ არხილოსკალოშიც. წყალმომარაგების ქსელის განახლების შემდეგ, არხილოსკალოელებს წყლის პრობლემა აღარ ექნებათ.

წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია და ახალი ქსელის გაყვანა არხილოსკალოში საქართველოს რეგიონებში განხორციელებული პროექტების ფონდის ფარგლებში ხორციელდება.

ადგილობრივი მოსახლეობა წლების მანძილზე წყლის პრობლემის დარეგულირებას უშედეგოდ ითხოვდა. ამ დრომდე პრობლემად რჩება სოფლების მოსახლეობის ინდივიდუალური გამრიცხველიანების საკითხიც.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ დებეტის შესანარჩუნებლად და აბონენტებისთვის წყლის მიწოდებაზე მოსალოდნელი გრაფიკის თავიდან ასაცილებლად ერთადერთი გამოსავალი მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა ოჯახის ეტაპობრივი გამრიცხველიანებაა. გამგებელი ამბობს, რომ მათი სამსახურები ენერგიას არ დაიშურებენ, რათა დედოფლისწყაროს სოფლებში ყველა მოსახლის გამრიცხველიანება დროულად მოხდეს და თუ საჭირო გახდება პროცესში თვითმმართველობის ორგანოს თანამშრომლებიც ჩაერთვებიან.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, მოსახლეობის გამრიცხველიანებას ცალკეული პრობლემებიც ახლავს. ზოგიერთი სოფლის რწმუნებული იმაზეც საუბრობს, რომ ისეთი ფაქტებიც ფიქსირდება, როდესაც უკვე გამრიცხველიანებული ოჯახი წყალს კვლავაც მრიცხველის გვერდის ავლით მოიხმარს. ეს საკითხი ამასწინათ გამგეობის თათბირზეც გაჟღერდა, სადაც ითქვა, რომ აუცილებელია გამგეობის ზედამხედველობის სამსახურმა ამგვარი ოჯახების გამოვლენა და მათი დაჯარიმება მოახდინოს, რათა ურჩი მომხმარებლები წყლის ეკონომიურად ხარჯვას მიეჩვიონ.

ილია მარტყოფლიშვილი

აგრარულმა ბაზარმა ფუნქცია დაიბრუნა

ის ამბავი, რომ წლების მანძილზე ბაზრის მიმდებარე ტერიტორია გარევაჭრობით იყო გადატვირთული, წარსულს ჩაბარდა. ამჯერად ყველა მოვაჭრე აგრარული ბაზრის შენობაში მოთავსდა და მყიდველს მიეცა შესაძლებლობა, ნორმალურ პირობებში, მშვიდ და წყნარ გარემოში იყიდოს სასურველი პროდუქტი, რომელსაც არც ტალახი ექნება შეწუწებული და არც მაწანწალა ძაღლების ბეწვი აღმოაჩნდება ზედ. რა იყო მანამდე?!-მანამდე ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე გამართულ დახლებს შორის ავტომანქანა ავტომანქანას ვერ დასცილდებოდა. ხშირად წააწყდებოდით მანქანის მძღოლსა და მოვაჭრეს შორის ატეხილ სკანდალს. აღარაფერს ვამბობთ საბავშვო ბაღში მიმავალი მშობლის მდგომარეობაზე, რომელსაც გამოფენილი დახლების და მოვაჭრეების წინ, ვიწრო ბილიკზე უნდა გაეტარებინა თავისი შვილები, რომ ბავშვებს ხელი არაფერზე წასცდენოდათ! ამასთან ერთად გარევაჭრობა კიდევ ერთ პრობლემას ქმნიდა, -ქალაქის ცენტრი ანტისანიტარიის ბუდედ იქცა, ტერიტორია ბინძურდებოდა პასუხისმგებლობას კი არავინ იღებდა თავის თავზე. განუკითხავად დაყრილი ნაგვის გამო ქალაქის ცენტრი მაწანწალა ძაღლების თავშეყრის ადგილად იქცა, ბოლოს კი, მდგომარეობა იქამდე მივიდა, რომ რაიონის ცენტრში საღამოს ვერ გაივლიდა ადამიანი, რომ ძაღლების ხროვა არ გამოჰკიდებოდა.

ეს ამბავი აწუხებდათ მოქალაქეებს, ბაზრის მმართველობას და, სხვათაშორის, ჩვენც, ჟურნალისტებსაც, რომლებმაც არა ერთი სტატია მივუძღვენით ამ პრობლემას თუმცა, ჩვენდა გასაოცრად, წინა ხელმძღვანელობისგან პასუხად იცით რას ვიღებდით? -„ბაზარია, და მის შინაგანაწესს ჩვენ როგორ დავარეგულირებთო, ბაზარი ბაზარიაო!“- ამ პასუხის იქით კი ყველამ კარგად უწყოდა, რომ ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე ერთი ნაწილი ერთ თანამდებობის პირს ეკუთვნოდა, მეორე - მეორეს და გარე ვაჭრობაც სწორედაც რომ, მავანთა და მავანთა პირადი ინტერესების წისქვილზე ასხამდა წყალს. სამაგიეროდ ზარალდებოდა მოსახლეობა, რომელსაც ფეხი ვერ აექცია მოვაჭრეებისთვის და ამის გამო დისკომფორტი ექმნებოდა.

ასეა, თუ ისე, ზემოთჩამოთვლილი პრობლემების მოგვარება ამჯერად მაინც მოხერხდა, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ თუ ხელმძღვანელობა საქმეს გულისყურით მოეკიდება და გამოხატავს კეთილ ნებას, მოუგვარებელი და დაუძლეველი არაფერია!

სულ რაღაც ერთი თვის წინ ბაზრის ადმინისტრაციის თხოვნით და ჩვენი ხელმძღვანელობის ჩარევით გარევაჭრობის პრობლემა ჩვენს რაიონში მოიხსნა, რის გამოც მოქალაქეები კმაყოფილები არიან, რომ ვაჭრობამ შენობაში გადაინაცვლა და და სიხარულით მიეშურებიან ბაზრისაკენ.

(გაგრძელება გვ.4)

ბაღების რეაბილიტაცია სოფლებში

გვ. 3

„დედოფლისწყაროს საათი“ ობიექტივზე

გვ. 8

დეპუტატმა ლექსო თამაზაშვილმა პირადი ტელეფონი გაასაჯაროვა

გვ. 5

599 74 74 79

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი
- მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www. dedoplistskaro. ge

C M Y K

ბიძინა ივანიშვილი - პოლიტიკისგან სიამოვნებას ვერ ვიღებ

"საქართველოს ხელგაშლილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან წასვლას გეგმავს", - ამ სათაურით აქვეყნებს ამერიკული გამოცემა Bloomberg-ის დამატება Businessweek ჰენრი მაიერის სტატიას ბიძინა ივანიშვილზე. როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, საქართველოს მილიარდერი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის 94 ჰექტარზე გადაჭიმული, აყვავებული სანაპირო ვილა ორი ელექტრონული კარის მიღმა მდებარეობს. "მისი ქონება საქართველოს 15,8 მილიარდი დოლარის მქონე ეკონომიკის 35 პროცენტს შეადგენს და სწორედ ამიტომ ყველაზე აქტუალური თემა ახლა სწორედ ის არის, თუ რას უზამს ივანიშვილი თავის მილიარდებს", - წერს ჰენრი მაიერი.

სტატიის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ ბიზნესმენმა, რომელიც წლების განმავლობაში არ ჩნდებოდა საზოგადოებაზში, 2011 წელს გამოაცხადა, რომ პოლიტიკურ კოალიციას აფინანსებდა, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში პრეზიდენტ სააკაშვილის პარტიის დამარცხების მიზნით.

"კოლიცია "ქართულმა ოცნებამ", რომლის სახელწოდებაც პრემიერის შვილის სიმღერიდან მომდინარეობს, დაამარცხა კიდეც პრეზიდენტის პარტია და მოიპოვა კონტროლი საკანონმდებლო ორგანოზე. საპარლამენტო ოპოზიციის ამარად დარჩენილ პრეზიდენტ სააკაშვილს ისღა დარჩენოდა, რომ გასული წლის ოქტომბერში ივანიშვილის პრემიერ-მინისტრობა ეღიარებინა. მაგნატმა მინისტრთა საკუთარი კაბინეტი დანიშნა. სააკაშვილი კი თავის საპრეზიდენტო სასახლეში მოექცა", - წერს ჰენრი მაიერი.

"პოლიტიკისგან სიამოვნებას ვერ ვიღებ, ეს ჩემს ხასიათში არ ჯდება", - ციტირებს სტატიის ავტორი ბიძინა ივანიშვილის კომენტარს, რომელმაც Businessweek-თან საუბრისას ასევე განცხადა, რომ გააგრძელებს მთავრობაზე დაკვირვებას და უარყო გავრცელებული სპეკულაციები იმის თაობაზე, რომ პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ კულისებს მიღმა დარჩება.

"რატომ უნდა ვიყო არაფორმალური ლიდერი, როცა შემიძლია ვიყო ფორმალური ლიდერი", - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა Businessweek-თან საუბრისას. "ივანიშვილს მართლაც არ სჭირდება პრემიერ-მინისტრის ხელფასი. შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე მისი ვილა კერძო პლაჟისგან, ორი აუზისგან, ორი გესთჰაუზისგან (პატარა სასტუმროსგან) და ლემურების, ზებრების, ფარშევანგების, თუთიყუშებისა და ფლამინგოების ვოლიერებისგან შედგება. თბილისის გარეუბანში მდებარე მისი მთავარი საცხოვრებელი კი, რომელიც იაპონელ არქიტექტორ შინ ტაკამასუსს ეკუთვნის, 50 მილიონი დოლარი ღირს. მის 1 მილიარდ დოლარად შეფასებულ არტ კოლექციაში კი, რომელიც ლონდონში ინახება, 2006 წელს 95 მილიონ დოლარად შეძენილი პიკასოს "დორა მაარი კატასთან ერთად" შედის", - წერს ჰენრი მაიერი.

სტატიის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ როგორც ბიძინა ივანიშვილმა მასთან საუბრისას განაცხადა, საკუთარი ქონებიდან 3 მილიარდი დოლარი მან საქართველოს მოახმარა და ეს თანხა სამხედროების ფეხსაცმელების, პოლიციელებისთვის კი საპატრულო მანქანების შეძენაში დახარჯა, ისევე, როგორც მუზეუმების, თეატრებისა და ეკლესიების აღდგენაში. მან ასევე აღადგინა გზები, ააშენა საავადმყოფოები და სკოლები მშობლიურ სოფელ ჭორვილაში. ბიძინა ივანიშვილის თქმით, მან 1 მილიარდი დოლარი დააბანდა 6-მილიარდიან კერძო ინვესტირების ფონდში, რომელიც ინვესტიციებს ახორციელებს ტურიზმში, სოფლის მეურნეობაში, მრეწველობასა და ენერგოპროექტებში მთავრობასთან ერთად.

როგორც ჰენრი მაიერი წერს, სააკაშვილისთვის ივანიშვილის მილიარდებმა საქართველოს, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს სტატუსი, რისკის ქვეშ დააყენა.

"თუ შენი პირადი ქონება შენივე ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს, მონოპოლიის დამყარების ძალიან დიდი ცდუნება არსებობს", - მოჰყავს სტატიის ავტორს საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის კომენტარი. "გარკვეულწილად, დასავლელმა ინვესტორებმა მიატოვეს კიდეც საქართველო მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში მოსულმა ივანიშვილის მთავრობამ გასულ წლის ბოლოს ათობით ყოფილი მაღალჩინოსნის დაკავება დაიწყო, მათ შორისაა ექს-პრემიერ-მინისტრიც", - აღნიშნავს ჰენრი მაიერი და დასძენს, რომ, როგორც მასთან საუბარში ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, პრეზიდენტობის ვადის ამოწურვის შემდეგ, შესაძლოა, კორუფციის ბრალდებით თავად სააკაშვილიც გასამართლდეს. თუმცა, სააკაშვილი ამ ბრალდებებს "სასაცილოს" უწოდებს.

როგორც ჰენრი მაიერი აღნიშნავს, ქვეყნის შიდა კაპიტალის ზრდის ტემპი წელს 3 პროცენტით დაეცა. მისივე თქმით, სააკაშვილმა დასავლეთში პატივისცემა კორუფციის დამარცხებით, კერძო კომპანიების პრივატიზებითა და ბიუროკრატიის აღმოფხვრით მოიპოვა. თუმცა, ის ასევე დაადანაშაულეს ოპოზიციისა და მედიის წინააღმდეგ ბრძოლისთვის. სტატიის ავტორი ასევე ციტირებს ანალიტიკოს ალექსანდრე რონდელის სიტყვებს, რომელიც აცხადებს, რომ ივანიშვილის მემკვიდრე, ვინც მას პრემიერ-მინისტრის პოსტზე შეცვლის, სავარაუდოდ, მისი ერთ-ერთი მოკავშირე იქნება, რომელიც მილიარდერ ივანიშვილს მისცემს შესუსტებულ მთავრობაზე გავლენის მოხდენის უფლებას.

"მას უნდა იმ საქართველოში ცხოვრება, რომელიც უსაფრთხო იქნება მისთვის, მისი ოჯახისთვისა და მისი ქონებისთვის, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში ის ყველაზე დიდი ქონების პატრონია", - ციტირებს სტატიის ავტორი კახა ბენდუქიძის სიტყვებს, რომელიც ასევე აცხადებს, რომ "პოლიტიკაში ივანიშვილი ნათლიმამა გახდება".

ღარიბაშვილი თურქ კოლეგას შეხვდა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ანკარაში თურქ კოლეგას, თურქეთის რესპუბლიკის შს მინისტრ მუამერ გიულერს შეხვდა. შეხვედრის დროს მხარეებმა უწყებებს შორის პოლიციის სფეროში ორმხრივითანამშრომლობა და სამომავლო გეგმები განიხილეს.

შეხვედრის დასრულებისას დაჯილდოვების ცერემონია გაიმართა. ირაკლი ღარიბაშვილმა თურქი კოლეგა 1-ლი ხარისხის მედლით „განსაკუთრებული დამსახურებისთვის" დააჯილდოვა. ამის შემდეგ მინისტრებმა ბრიფინგი გამართეს და მედიის შეკითხვებს უპასუხეს.

საქართველოს შს მინისტრი ნარკოტიკებისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თურქეთის საერთაშორისო აკადემია დაათვალიერა და მისი მუშაობის მეთოდებს გაეცნო.

აკადემიაში სტუმრობისას შს მინისტრმა თურქეთის რესპუბლიკის ეროვნული პოლიციის, ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის დეპარტამენტის უფროსი მეჰმეთ თესილქაია 1-ლი ხარისხის მედლით, ხოლო საქართველოში თურქეთის საელჩოში პოლიციის მეკავშირე ოფიცერი ჯუნეით გიურერი მე 2-ე ხარისხის მედლით „განსაკუთრებული დამსახურებისთვის" დააჯილდოვა.

შინაგან საქმეთა მინისტრი ასევე თურქეთის ეროვნული პოლიციის აკადემიას ეწვია. მინისტრი აკადემიის რექტორს შეხვდა და სასწავლო პროცესის პრეზენტაციას დაესწრო. ამის შემდეგ ირაკლი ღარიბაშვილი თურქეთის კონტრტერორისტულ დეპარტამენტს ესტუმრა და მის ხელმძღვანელობას შეხვდა.

საარსებო მინიმუმის გაზრდის მოთხოვნით კახეთში ხელმოწერებს აგროვებენ

"ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა" საარსებო მინიმუმის სამართლიანი ოდენობის დადგენის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვებას განაგრძობს.

როგორც პარტიიდან გვაცნობეს, პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი თარგამაძე, პარტიის წევრებთან ერთად პარასკევს თელავში ჩავიდა და ადგილობრივ აქტივისტებთან ერთად ერეკლე მეორის მოედანზე შეკრებილ მოსახლეობას შეხვდა.

როგორც გიორგი თარგამაძე აცხადებს, დაუშვებელია, რომ სოციალური დაცვის სისტემა სიყალბეზე იყოს დაფუძნებული და უკიდურეს გაჭირვებაში მცხოვრები ასობით ათასი ადამიანის გასაჭირს არ პასუხობდეს. მისი თქმით, საარსებო მინიმუმის ოდენობა სამართლიანი წესით, 250 ლარამდე უნდა გაიზარდოს და არცერთი ტიპის პენსია ამაზე ნაკლები არ უნდა იყოს.

შეგახსენებთ, რომ "ქრისტიან-დემოკრატების" ინიციატივა ,,საარსებო მონიმუმის გაანგარიშების წესის შესახებ" კანონში ცვლილებებს უკავშირდება. პარტიის წევრები მოითხოვენ, რომ სასურსათო კალათა სულზე 2500 კილოკალორიით, ხოლო კალათის ღირებულება მთელი საარსებო მინიმუმის 50%-ით განისაზღვროს.

ხელმოწერების შეგროვებას "ქრისტიან-დემოკრატები" მთელი საქართველოს მასშტაბით განაგრძობენ.

მინისტრი რთველის მოსამზადებელ სამუშაოებს გაეცნო

სოფლის მეურნეობის მინისტრი შალვა ფიფია რთველი 2013-ის მოსამზადებელ სამუშაოებს გაეცნო. მინისტრმა რთველის საკოორდინაციო შტაბის წევრებისგან საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციაც მიიღო.

შალვა ფიფია, მინისტრის მოადგილე დავით შერვაშიძე და ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან დავითაშვილი გურჯაანის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებთან ერთად „კახური ღვინის მარანს" ესტუმრა, რომელიც წელს მევენახეებისგან 1 000 ტონა ყურძენს მიიღებს.

შალვა ფიფიამ მევენახეებს კიდევ ერთხელ განუმარტა, რომ წელს სუბსიდიის პროგრამა კომპანიებისთვის ყოველგვარი ვაუჩერის გარეშე განხორციელდება და სუბსიდია 1 კილოგრამ რქაწითელსა და მწვანეზე 40 თეთრი, ხოლო საფერავზე 25 თეთრი იქნება.

„ინტერესი და მობილიზაცია საკმაოდ დიდია ინდუსტრიიდან, დაახლოებით 80-მდე კომპანიას უკვე გამოთქმული აქვს სურვილი, რომ მონაწილეობა მიიღოს ამ პროცესში და ყურძენი ჩაიბაროს. მოსავლის მოლოდინი არის საკმაოდ მაღალი, ასევე დიდი მოლოდინია იმისა, რომ ამ მოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი, 50-60% წამოვა ინდუსტრიაში გადასამუშავებლად", - განაცხადა შალვა ფიფიამ.

კახეთში, დედოფლისწყაროს რაიონის სოფლებში რთველი დაიწყო. ალაზნისპირა სოფლებში ამ დროისთვის არაქართული ჯიშის ყურძენი იკრიფება, რომელიც სუბსიდირებული არ არის. რაც შეეხება ჰიბრიდული ჯიშის ყურძენს, ლევან დავითაშვილის განცხადებით, მას სავარაუდოდ 2 ღვინის ქარხანა ჩაიბარებს.

სავარაუდოდ კვირის ბოლოდან დედოფლისწყაროში ტრადიციული ჯიშის ყურძნის კრეფაც დაიწყება, აქტიურ ფაზაში კი რთველი 10 სექტემბრიდან შევა.

„ამ დროისთვის ყურძენი დედოფლისწყაროს განაპირა სოფლებში იკრიფება. ეს არის ნაადრევი, არაქართული ყურძნის ჯიშები, რომლებიც სუბსიდირებული არ არის. მთავრობის გადაწყვეტილებით, სუბსიდია ვრცელდება მხოლოდ სამი ჯიშის ყურძენზე, რქაწითელზე, საფერავსა და კახურ მწვანეზე. თუმცა არაქართული ჯიშის ყურძნის ჩასაბარებელი ფასიც დაახლოებით ერთ ლარამდეა. ამ ჯიშის ყურძენს 5 ქარხანა იბარებს", - განუცხადა ლევან დავითაშვილმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს.

რაც შეეხება ჰიბრიდული ჯიშის ყურძენს, ლევან დავითაშვილის განცხადებით, მას სავარაუდოდ 2 ღვინის ქარხანა ჩაიბარებს.

„ჰიბრიდული ჯიშის ყურძენი სასპირტედ გამოიყენება, რადგან არ შეიძლება, რომ საექსპორტო ღვინოში გამოიყენონ. რადგან მოსახლეობის ნაწილს აქვს ამ ჯიშის ყურძენი, რეალიზაციის გარეშე რომ არ დარჩეს, სავარაუდოდ 2 ქარხანა ჩაიბარებს, გურჯაანსა და ყვარელში. ამასთან დაკავშირებით დღეს ჩამოვყალიბდებით. რა იქნება ამ ყურძნის მისაღები ფასი არ ვიცით, ბაზარი დაარეგულირებს", - აღნიშნა ლევან დავითაშვილმა.

ამ დროისთვის რთველის საკოორდინაციო შტაბში 73 ქარხნის განაცხადია რეგისტრირებული, რომელთაც წლევანდელ სეზონზე ყურძნის ჩაბარება სურთ.

,,გალფის" ავტოგასამართი სადგური დააყაჩაღეს

დედოფლისწყაროში მდებარე „გალფის" კუთვნილი ავტოგასამართი სადგური ღამით დააყაჩაღეს. ბოროტმოქმედებმა სადგურიდან თანხა გაიტაცეს.

როგორც სადგურის თანამშრომლები განმარტავენ, გატაცებულია კომპანიის კუთვნილი თანხა, რომელიც, სავარაუდოდ, 200 ლარს არ აღემატება.

„გალფის" მარკეტინგის სამსახური ორშაბათამდე კომენტარს არ აკეთებს, თუმცა, კომპანიის მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში გაზეთ „შირაქს" დაუდასტურეს, რომ შემთხვევა დედოფლისწყაროში მართლაც მოხდა.

მომხდართან დაკავშირებით მოკვლევას შსს დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველო აწარმოებს. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ავტოგასამართი სადგურის თანამშრომლები დამნაშავეთა ამოცნობას ვერ ახერხებენ.

ბაღების რეაბილიტაცია სოფლებში

დედოფლისწყაროში საბავშვო ბაღების შენობების რეაბილიტაცია მიმდინარეობს, შემოდის ასევე ახალი ინვენტარი.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, სოფლის განვითარების პროგრამით გათვალისწინებული თანხებით სარემონტო სამუშაოები უტარდება სოფელ მირზაანის საბავშო ბაღსაც. სოფელში ბაღი 30 წლის წინ დაარსდა და მას შემდეგ, რეაბილიტაცია აღარ ჩატარებია. ბაღის პერსონალის განცხადებით, რამდენიმე წლის წინ მხოლოდ კედლები შეიღება.

საბავშო ბაღის არასახარბიელო მდგომარეობის გამო, სოფლის მცხოვრებლებს ბავშვები მეზობელ სოფელში, ზემო მაჩხაანის საბავშო ბაღში დაჰყავდათ და შედეგად მირზაანის ბაღი, სადაც დაახლოებით 15-მდე ბავშვი დადიოდა, დახურვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

სოფლის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებლის აკაკი თარაშვილის თქმით, ბაღში პირობების გაუმჯობესებისა და გადასახადის გაუქმების გამო, ბავშვთა ოდენობამ იმატა.

მირზაანის საბავშო ბაღში მთლიანად ძველის ნაცვლად მეტალო-პლასმასის კარ-ფანჯრები დამონტაჟდება. გამოიცვალა სახურავი, გამაგრდა კედლები და ძველი იატაკის ადგილას ლამინატის დაგება იგეგმება.

რეაბილიტაცია მიმდინარეობს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქედში არსებულ საბავშო ბაღშიც და სარეაბილიტაციო სამუშაოები 1 ოქტომბერს დასრულდება. დღემდე ზემო ქედის ბაღს სარემონტო სამუშაოები არ ჩატარებია.

ახალი მონაცემებით, ზემო ქედის ბაღში 45 ბავშვი ირიცხება, თუმცა გამგის განმარტებით, მსურველთა რაოდენობამ მას შემდეგ მოიმატა, რაც მუნიციპალიტეტში ბაღები უფასო გახდა. ბავშვები ახალ სასწავლო წელს ახლად გარემონტებულ ბაღში შევლენ.

დღევანდელი მონაცემებით, ზემო ქედის ბაღში 45 ბავში ირიცხება, თუმცა გამგის თქმით, მსურველთა რაოდენობამ მოიმატა.

სოფელ ზემო მაჩხაანის საბავშო ბაღის ერთ ნაწილს რამდენიმე წლის უკან კოსმეტიკური რემონტი ჩაუტარდა, თუმცა რეკონსტრუქცია მთლიანად არასოდეს არ გაკეთებულა. ამჯერად, მაჩხაანის საბავშო ბაღი სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში რემონტდება.

ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი იაკობიშვილის თქმით, ბაღში ამჯერად ერთი ჯგუფია, თუმცა ბავშვების რაოდენობა შესაძლოა მალე გაიზარდოს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ოზაანში საბავშო ბაღი 1987 წელს აშენდა და როგორც ადგილობრივები ამბობენ მას შემდეგ რემონტი არ ჩატარებია. დღეს კი ოზაანის ბაღში სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. ძველი კარ-ფანჯრების ნაცვლად მონტაჟდება მეტალო-პლასმასის კარ-ფანჯრები. იცვლება სახურავი და სველი წერტილები. ძველ იატაკს კი ლამინატი ჩაანაცვლებს.

ოზაანის რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებლის გელა ოზაშვილის განცხადებით, ბაღში ამჟამად 40 ბავშვი დადის, თუმცა საბავშო ბაღების უფასოდ გამოცხადების შემდეგ, ბავშვთა ოდენობა იზრდება.

არბოშიკში ცენტრალური სანიაღვრე არხი გაიწმინდა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არბოშიკში საერთო სანიაღვრე არხი ნაგვისგან და ხემცენერაციებისგან გაიწმინდა. როგორც ადგილობრივები ყვებიან, სოფელში სანიაღვრე არხი 1988 წელს გაკეთდა და მას შემდეგ მხოლოდ ერთხელ გაიწმინდა.

ამჯერად, პრობლემა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გადაიჭრა და არხი მთლიანად გაიწმინდა.

ადგილობრივი მოსახლეობის განცხადებით, არხი ანტისანიტარიის კერა იყო, რის გამოც სოფლის მაცხოვრებლები წუხდებოდნენ. ამასთან, ნაგვით ამოვსებული არხში წყალი აღარ გადიოდა, რის გამოც სოფელის გზა ზიანდებოდა

19 წლის ბიჭი ვენახში გველმა დაკბინა

დედოფლისწყაროს რაიონში გველის მიერ ადამიანის დაგესვლის პირველი ფაქტი დაფიქსირდა. სოფელ სამთაწყაროში ვენახში მუშაობისას 19 წლის მურთაზ ჯაიანი გველმა ფეხის არეში დაკბინა. შემთხვევის ადგილზე სასწრაფო დახმარების ადგილობრივი ბრიგადა გამოიძახეს, თუმცა, იმის გამო, რომ სოფელი რაიონულ ცენტრს მკვეთრად მოწყვეტილია, მისი თბილისში გადაყვანის აუცილებლობა დადგა.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, გამოძახებული იყო, ასევე, კატასტროფის მედიცინის ცენტრის ბრიგადაც, რომელმაც პაციენტი თბილისში გადაიყვანა.

„ადგილობრივი ოჯახია, თუმცა ძირითადად თბილისში არიან, მაგრამ სოფელში ვენახებს ამუშავებენ. ჩამოსული იყო და ვენახში ბალახს ცელავდა, რთველისთვის ამზადებდა. სწორედ ამ დროს, ალბათ დიდ ბალახში ვერ შენიშნა, სავარაუდოდ, ფეხი დაადგა და დაკბინა,“ — აცხადებს სამთაწყაროს ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული გულო ნადირაშვილი.

სოფლის ექთანის, ლიანა ებრალიძის განმარტებით, მას პაციენტთან სატელეფონო კავშირი აქვს და მისი მდგომარეობა ამ დროისთვის სტაბილურია.

ილია მარტყოფლიშვილი

აგრარულმა ბაზარმა ფუნქცია დაიბრუნა

(პირველი გვერდიდან)

ჩემს გაოცებას იწვევდა ის ქაოსი და ანტისანიტარია რაც ბაზარში იყო გამეფებული. ეტყობოდა, რომ აქაურობა არავის ანაღვლებდა, ყველა თავის ნებაზე იყო მიშვებული.

დიანა მენთეშაშვილი, - „მოხარული ვარ და მივესალმები მოვაჭრეების ბაზრის შენობაში შესვლას, მე აქ თბილისიდან ვარ გამოთხოვილი და ჩემს დიდ გაოცებას იწვევდა ის ქაოსი და ანტისანიტარია, რასაც ადგილი ჰქონდა ამ ბაზრის ტერიტორიაზე, აქაურობას ეტყობოდა, რომ არავის ანაღვლებდა აქ არსებული მდგომარეობა და ყველა თავის ნებაზე იყო მიშვებული. ჩემთვის, როგორც მყიდველისთვის, ძალიან მიუღებელი იყო ასეთი პირობები, როგორ შეიძლება ნორმალურ დიასახლისს, რომელსაც პრეტენზია აქვს სისუფთავეზე, შუა გზაზე, დაბინძურებულ გარემოში ნაყიდი პროდუქტი აკმაყოფილებდეს, ბევრჯერ ყოფილა, რომ დახლთან ახლოს მისული უკან გავტრიალებულვარ და გული არ მიმსვლია პროდუქტზე საყიდლად. ამჯერად ძალიან მომწონს, რომ მოქალაქეებს ნორმალურ პირობებში გვიწევს ვაჭრობა. ვფიქრობ ეს მოვაჭრეებისთვისაც არ უნდა იყოს გამაღიზიანებელი, რადგან არ მგონია ამით მათ საქონელბრუნვას ხელი შეეშალოს.“

მიუხედავად მოსახლეობის კმაყოფილებისა,თავად ბაზრის მოვაჭრეები გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას უკმაყოფილებას გამოხატავდნენ ბაზრის შენობაში შესვლის გამო და ემოციებს არ ფარავდნენ, ისინი აღნიშნავდნენ, რომ აგრარული ბაზრის შენობაში შესვლის შემდეგ მათ ისეთი ვაჭრობა აღარ აქვთ, რის გამოც პროდუქტი ულპებათ და ზარალდებიან.

გულნაზ ღვედაშვილი -„პირველ რიგში, მყიდველთან კონტაქტი გვიჭირს და პროდუქტის მიყიდვის დროს, ვერ ვაწვდენთ ხელს, რომ საქონელი თვითონ ჩავუწყოთ პარკში მყიდველს, უნდა შემოვუაროთ ამხელა მანძილიდან დახლს, რათა მოვახერხოთ და ვივაჭროთ, ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ გარეთ მანქანებით მოდიან ვაჭრები, იქ დგანან და ყუთებით ჩვენზე იაფად ყიდიან პროდუქტს, რის გამოც ჩვენ ვაჭრობა გვივარდება, ნუ დააყენებენ გარეთ პომიდვრითა თუ კიტრით დატვირთულ მანქანებს და ჩვენ უკმაყოფილო არ ვიქნებით, როგორმე გავუძღვებით ჩვენს საქმეს.“

ნანა ხარხელაური -„ძალიან კმაყოფილები ვართ, სისუფთავეა, ანტისანიტარიის საშიშროება არაა, აღარ გვცხელა, აღარ გვაწვიმს და შედარებით კომფორტულადაც ვგრძნობთ თავს, შედარებაც არ შეიძლება. მივესალმებით, რომ ყველა მოვაჭრე შემოვიდა შენობაში, მაგრამ ჩვენი თხოვნა იქნება, გარეთ მიკროავტობუსებით და დიდი მანქანებით შემოსული პროდუქტიც აქ შემოიტანონ და აქ გაყიდონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ვზარალდებით. ამ ფონზე ჩვენ საქონელი როგორღა უნდა გავყიდოთ? ხომ დაგვილპა და გადასაყრელი გაგვიხდა? შემოიტანონ მათაც შიგნით პროდუქტი და რა ფასიც აწყობთ ისე გაყიდონ არ წავალთ წინააღმდეგი, ოღონდ შიგნით შემოვიდნენ ისინიც!“

ბაზრის დანიშნულებაზე, შენობის მდგრადობაზე და ბოლოდროინდელ განხორციელებულ ცვლელებებზე ჩვენ ვესაუბრეთ *შპს. „აგრარული ბაზრის“ დირექტორს* თამაზ მათეშვილს.

- ბატონო თამაზ, დავიწყოთ ბაზრის დაარსების დღიდან,ისიც ვიცით, რომ ეს შენობა წლების მანძილზე სადაო ობიექტს წარმოადგენდა, მოგვიყევით ამის შესახებ!

-დედოფლისწყაროს აგრარული ბაზარი, როგორც შენობანაგებობა, 1974 წელს აშენდა და ერთ-ერთი საუკეთესო ბაზარი იყო და არის დღემდე მთელს რეგიონში. თავის დროზე ეს ბაზარი სახელმწიფო ქონება იყო, 1996 წლიდან, მას შემდეგ, რაც ქვეყანამ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის დანერგვა დაიწყო და ძალაში შევიდა კანონი მეწარმეთა შესახებ, ბაზრის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ მოახერხა და მანამ, სანამ კანონი შევიდოდა ძალაში, სამართლებრივი საფუძვლების გარეშე გაიარა რეგისტრაცია, ბაზარს დაარქვეს „ბაზარი ნარინჯი“ და პირად საკუთრებაში მიიღო, რითაც ხელმოცარული დატოვა ცეკავშირი, რომელიც სინამდვილეში ქონების კანონიერი მფლობელი გახლდათ.

1998 წლიდან ცეკავშირმა დაიწყო დავა აღნიშნული ობიექტის დასაბრუნებლად და სასამართლოში სარჩელიც შეიტანა. დავა 12 წელი გაგრძელდა, თუმცა სიმართლემ მაინც გაიმარჯვა და შენობა- ნაგებობა დღეს ჩვენს ხელშია,შპს. „აგრარული ბაზრის“ ძირითადი მესაკუთრე 51 %-იანი წილობრივი მაჩვენებლით ცეკავშირია.

- რამდენადაც ვიცით, წლები ს მანძილზე ბაზრის შიდა ნაწილი საკმაოდ დაბინძურებული იყო. ამჯერად სხვა მდგომარეობაა ამ კუთხით, შედარებით სისუფთავე იგრძნობა.

- მოსვლის დღიდან საშინელი ანტისანიტარია, გარევაჭრობა, აურზაური დაგვხვდა, არც ტუალეტი იყო, ჭერიდანაც წყალი ჩამოდიოდა და მთლიანად დანესტილი იყო მარჯვენა ფასადი. ავიღეთ სესხი და პირველად ტუალეტი გავაკეთეთ, რომელიც თანამედროვე სტანდარტებს აკმაყოფილებს, მთელი ბაზრის შენობა დავამუშავეთ სანიტარულად. დღეისათვის ბაზარი აბსოლიტურად აკმაყოფილებს სანიტარულ-ჰიგიენური სტანდარტების ყველა მოთხოვნას. ბაზარში სისტემატიურად მუშაობს დამლაგებელი, რომელიც რეცხავს და ასუფთავებს აქაურობას, შენობის მარჯვენა მხარეს მთლიანად ჩამომპალი იყო ფანჯრები, ჩვენ ამოვაშენეთ კედლები ახალი ბლოკით და ჩავსვით ახალი, მეტალოპლასტმასის ფანჯრები. ამასთან ერთად შევაკეთეთ და ნახევრად გადავხურეთ ჭერი,ამჯერად შენობის ჭერს ნალექის ჩამოსვლის სასიშროება აღარ ემუქრება.

- ბატონო თამაზ, საინტერესოა შენობის მდგრადობის საკითხიც, რადგან მოვაჭრეების ერთი ნაწილი ბაზრის შენობაში შემოსვლის წინაალმდეგ ერთ-ერთ მიზეზად იმასაც ასახელებდა, რომ შესაძლოა, ჭერი ჩამოინგრესო. რას გვეტყვით ამაზე?

- ამაზეც მოგახსენებთ ჩვენ გვყავდა ჩამოყვანილი ექსპერტი, რომელსაც შენობის მდგრადობა შევამოწმებინეთ, სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ შენობის მდგრადობას არავითარი საფრთხე არ ემუქრება.(საუბრისას თამაზ მათეშვილი გვაჩვენებს საბუთებს, სადაც ექსპერტიზის დასკვნაა).

- მინდა მოგილოცოთ ბაზრისთვის ძველი იერსახის დაბრუნება, მოხარული ვარ, რომ გარევაჭრობა მოისპო, თუმცა მოვაჭრეებთან საუბრისას ჩემდა გასაკვირად, სრულიად სხვანაირ მდგომარეობას წავაწყდი, პოზიტიურ პასუხს ველოდი მათგან, თუმცა ისინი მაინც უკმაყოფილებას გამოხატავენ, თქვენ რით ახსნით ამას?!

- ნებისმიერ სიახლეს მოსდევს წინააღმდეგობები, ცვლილება არავის არ მოსწონს, მიუხედავად იმისა, კარგ შედეგს გამოიღებს ის თუ არა,ეს გარდამავალი ეტაპია და მოვაჭრეებიც მალე მიხვდებიან, რომ ასე უკეთესია. კაბის კალთებზე შემხმარ ყინულებს, ნაკვერჩხლებზე გათბობას , ქარსა თუ წვიმაში დგომას რომ ეს ბევრად სჯობია, ამას მალე მიხვდებიან. ნურავინ იტყვის, რომ გარეთ უკეთესი ვაჭრობა ჰქონდათ და შიგნით რაიმე ცუდადაა, ეს ყიდვა- გაყიდვის პროცესია, ხან თუ ცუდი დღე ექნებათ, ხან უკეთესი. ასეთია ვაჭრობის კანონზომიერება.

- მოვაჭრეები ითხოვენ, რომ გარეთ არცერთი მანქანა აღარ დადგეს და ყველა შიგნით ვაჭრობდეს.

- მათი ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებული იქნება და შევასრულებთ, გარეთ არცერთ პროდუქტით მოვაჭრეს არ დავუშვებთ. შეთანხმებულები ვართ ასე, რომ ზეთი, კოპტონი, მარცვლეული, პირუტყვი და ფრთოსანი კვირაობით გაიყიდება ბაზრის გარეთ ტერიტორიაზე, ხოლო დანარჩენი, საზამთროს გარდა, გაიყიდება შიგნით და ამას ჩვენ ზედმიწევნით გავაკონტროლებთ. და კიდევ, კვირაობით, როდესაც აქ თავს იყრის უამრავი ვაჭარი თუ გამყიდველი, ისეთი ადამიანები, მოხუცები, რომლებსაც სახლიდან ორიოდ სახის პროდუქტი აქვთ გამოტანილი გასაყიდად, რომ ორი კაპიკის სახლში მიიტანოს რაიმე, მათ ჩვენი აგრარული ბაზრის ადმინისტრაცია გადასახადს არ ახდევინებს.

და ბოლოს, არ შემიძლია არ ავღნიშნო და მადლიერება არ გამოვხატო ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მიმართ, განსაკუთრებით ირაკლი შიოლაშვილის მიმართ, რომელიც პირადად მოვიდა მოვაჭრეებთან და ცალკეულ ადამიანთან გასაუბრებით შეეცადა აეხსნა მათთვის, დაენახებინა რეალობა და მიეხვედრებინა, რომ ეს არის სწორი ქმედება, რაც გარდაუვალი იყო. მადლობა მინდა გადავუხადო გამგეობის ზედამხედველობის სამსახურს ავთანდილ თეთრაულის ხელმძღვანელობით, რომელიც 24 საათის განმავლობაში, როცა გინდა გამოგვეძახებინა, მზად იყო ჩვენს დასახმარებლად, მადლობა გამგებლის მოადგილეს ნიკოლოზ ხუციშვილს, რომელიც ასევე გვერდში გვედგა და მუდმივ სატელეფონო კავშირს ამყარებდა ჩვენთან, რათა ქალაქის ცენტრალურ ადგილზე გარევაჭრობა ერთხელ და სამუდამოდ აღკვეთილიყო. ამჯერად კი, სიახლე ის გვაქვს, რომ შედგა ხარჯთაღრიცხვა და ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ობიექტების მეპატრონეები, ყველა ერთად მიიღებს მონაწილეობას, რათა ტერიტორია მოვაწესრიგოთ და მოვაასფალტოთ.

ის, რომ გარევაჭრობა უნდა აღკვეთილიყო და ეს წლების მანძილზე ჩვენი მოსახლეობის ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნა იყო. ის, ვინც ამის აუცილებლობას ვერ ხვდება, ან არ სურს რომ გაიგოს ამ ყველაფრის არსი, ვფიქრობთ მათ მეტი ჩაფიქრება სჭირდებათ. დრო გამოაჩენს მათთვისაც რომელი სჯობდა გარე ვაჭრობა, თუ ბაზრის შენობაში კომფორტულად ყიდვა-გაყიდვა. ჩვენი ხელმძღვანელობა კი, სამართლიანად იმსახურებს მადლობას, რადგან წლების მოუგვარებელი პრობლემა დღის წესრიგში დააყენა და მოაგვარა.

როგორ შეიძლება ნორმალური დიასახლისისთვის მისაღები იყოს ასეთი პირობები.

ლალი მეხრიშვილი

დეპუტატმა ლექსო თამაზაშვილმა პირადი ტელეფონი გაასაჯაროვა

პარლამენტის წევრმა ალექსანდრე თამაზაშვილმა პირადი მობილური ტელეფონის ნომერი გაასაჯაროვა.

დეპუტატი მედიაკავშირ „ობიექტივის“ ინიციატივას შეუერთდა, რის შემდეგაც მისი სატელეფონო ნომერი სპეციალურ ვიდეორგოლში განთავსდა. კლიპი, რომელიც ეთერში ტრიალებს, ამომრჩეველს, სურვილის შემთხვევაში, პარლამენტარებთან დაკავშირებისკენ მოუწოდებს.

ნებისმიერ მსურველს შეუძლია ალექსანდრე თამაზაშვილს დაუკავშირდეს ნომერზე **599 74 74 79** და მისთვის სასურველი ინფორმაცია მიაწოდოს.

როგორც „ობიექტივის“ ჟურნალისტები აცხადებენ, მაყურებლის ზარების მიხედვით გამოიკვეთა, რომ ამომრჩეველი დეპუტატებისგან პირდაპირ კავშირს ითხოვს. ამდენად, „ობიექტივმა“ დეპუტატებს პირადი სატელეფონო ნომრების გასაჯაროებისკენ მოუწოდა და შესაბამისი კამპანია წამოიწყო.

ალექსანდრე თამაზაშვილი დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გახლდათ, რომელიც ძიუდოისტ ზაზა კედელაშვილთან უმნიშვნელო სხვაობით დამარცხდა, თუმცა თამაზაშვილი პარტიული სიით დეპუტატი მაინც გახდა.

როგორც ლექსო თამაზაშვილმა გაზეთ „შირაქს“ პარლამენტში მოხვედრის შემდეგ განუცხადა, მიუხედავად იმისა, რომ თავად დედოფლისწყაროს მაჟორიტარი არ არის, ამომრჩეველთან შეხვედრებს კვლავაც აქტიურად გააგრძელებს და მოქალაქეთა მიღებასაც ხშირად გამართავს.

ილია მარტყოფლიშვილი

შემცირება შესაძლოა თანაბრად შეეხოს როგორც რუსული, ისე ქართული სექტორის პედაგოგებს

დედოფლისწყაროში, სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის რუსული სექტორის გაუქმებასთან დაკავშირებით ვრცელი განმარტება გააკეთა დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა მიხეილ ბახუტაშვილმა. მისი თქმით, დირექტორის, ლალი მენთეშაშვილის მიერ პედაგოგებისადმი გაგზავნილი წერილი არასწორად იყო ფორმულირებული, რაც აჟიოტაჟის საბაბი გახდა.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, გამაფრთხილებელი წერილი, სადაც შტატების მოსალოდნელ შემცირებაზე და სექტორის შეკვეცაზე იყო საუბარი, მხოლოდ რუსული სექტორის პედაგოგებმა მიიღეს, რის გამოც საპროტესტო აქცია გამართეს. თუმცა, რესურსცენტრის ხელმძღვანელი განმარტავს, რომ შემცირება შესაძლოა თანაბრად შეეხოს როგორც რუსული, ისე ქართული სექტორის პედაგოგებს, ამდენად ბახუტაშვილისთვის სრულიად გაუგებარია, რატომ გაკეთდა აქცენტი მხოლოდ რუსულენოვან პედაგოგებზე. ეს განცხადება რესურსცენტრის უფროსმა ტელეკომპანია „ობიექტივის“ პირდაპირ ეთერში, „დედოფლისწყაროს საათში“ სტუმრობისას გააკეთა.

მიხეილ ბახუტაშვილი: „დეფიციტური სკოლაა და ახალი სასწავლო წლიდან ნამდვილად მოსალოდნელია შემცირებები. ამ სკოლის დირექტორს უშუალოდ სამინისტროსგან უკვე მიეცა რეკომენდაცია, რომ სწორი მენეჯმენტი აწარმოოს და ხარჯები დაზოგოს. ეს უკვე თავისი გადასაწყვეტია, კლასების ჩაკვეცას მოახდენს, თუ რის საფუძველზე განახორციელებს ცვლილებებს. მთლიანად სკოლის ოპტიმიზაცია უნდა განახორციელოს, უპირველეს ყოვლისა დირექტორს ეს მოეთხოვება. თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ პედაგოგებისთვის გაგზავნილ გამაფრთხილებელ წერილში არამც და არამც არ უნდა ყოფილიყო ასე ხაზგასმით ნათქვამი, რომ რუსული სექტორი ჩაიკვეცება. იმიტომ, რომ იგივე პროცესი შეიძლება შეეხოს სხვა ნებისმიერ პედაგოგს, რომელიც ქართულ სექტორზეა დასქმებული. ამ წერილის შინაარსი ბუნებრივია რესურსცენტრთან შეთანხმებული არ ყოფილა. ხმაურიც ამას მოჰყვა, ვფიქრობ, უფრო სწორი ფორმულირებით რომ დაგზავნილიყო ეს შეტყობინებები, ამხელა ხმაურს თავიდან ავიცილებდით. ჩვენი და გამგებლის აქტიურობის წყალობით თებერვლიდან ხდებოდა სამინისტროდან დამატებითი თანხების ჩარიცხვა, თუმცა სკოლას თავის სარჩენი ფული აღარ ჰქონდა, ერთ ნატეხ ცარცსაც ვეღარ შეიძენდა.

აქციის გამართვის შემდეგ, ცხადია, დავინტერესდი არსებული ვითარებით, მივმართე სკოლის დირექტორს, რომ წარმოედგინა მონაცემები, რუსულ სექტორზე რამდენი მსურველი იყო გასული წლების განმავლობაში. აღმოჩნდა, რომ შარშან 3 განაცხადი შევიდა, შარშანწინ კი 7 განაცხადი. მოგეხსენებათ, კლასის გასახსნელად 18 ბავშვის განაცხადია საჭირო. შესაწძლოა დირექტორმა მოსალოდნელ შემცირებაზე წერილები კანონიერად გააგზავნა, თუმცა არ შეიძლებოდა იმის დაფიქსირება, რომ რუსული სექტორი იხურება. ანუ, ზოგადად უნდა გაეფრთხილებინათ, ქართული სექტორის პედაგოგებსაც უნდა დაგზავნოდა ეს წერილები.

„დირექტორის გამაფრთხილებელი წერილი არასწორად იყო ფორმულირებული, არამც და არამც არ უნდა ყოფილიყო ხაზგასმით ნათქვამი, რომ რუსული სექტორი ჩაიკვეცება და ამხელა ხმაურს თავიდან ავიცილებდით.“

- ხორნაბუჯი არცთუ ისე მცირერიცხოვანი სოფელია, რატომაა ეს სკოლა დეფიციტური?

- მიუხედავად იმისა, რომ ამ სკოლას დაანგარიშების და ხელფასის გამოყვანის განსაკუთრებული კოეფიციენტი აქვს, მაინც არ აღმოჩნდა თანხა საკმარისი. სამინისტრო, როგორც მცირე კონტინგენტიან სკოლებთან მიახლოებულს, ამ სკოლას უხდის გადასახადებს, თუმცა ეს როდემდე გაგრძელდება, არავინ იცის. ამ საპროტესტო აქციის შემდეგ, ჩემს სამუშაო კაბინეტში მეწვივნენ როგორც რუსული სექტორის პედაგოგები, ისე მოსწავლეთა მშობლები. მათ წარმოადგინეს სია, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ ახალი სასწავლო წლიდან ამჯერად 19 მოსწავლის განაცხადია, რომელიც რუსული სექტორის პირველ კლასში ჩარიცხვას ითხოვს. ბუნებრივია, ამის შესახებ საქმის კურსში ჩავაყენებ განათლების სამინისტროს და შესაბამის რეაგირებას მოვახდენთ, მაგრამ გასარკვევია, როგორ იქნება მომავალში მათი რუსულენოვანი სახელმძღვანელოებით მომარაგება. ქართველ მოსწავლეებს უფასო სახელმძღვანელოები გადაეცემათ, თუმცა არავინ იცის, რა ბედი ელით რუსული სექტორის მოსწავლეებს, როცა რუსული სახელმძღვანელოები აღარ შემოდის. რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, მათ ძალიან მოძველებული წიგნებით უწევთ სასწავლო პროგრამის ათვისება. პირადად მე ამ სოფლიდან ვარ, ხორნაბუჯელი ვარ და ჩემთვის წარმოუდგენელია ეს სკოლა რუსული სექტორის გარეშე,” - განაცხადა მიხეილ ბახუტაშვილმა.

შეგახსენებთ, მიმდინარე წლის 15 აგვისტოს, ხორნაბუჯის საჯარო სკოლის რუსული სექტორის პედაგოგებმა სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე საპროტესტო აქცია გამართეს. გაზეთი „შირაქი“ უკვე წერდა, რომ პედაგოგები დირექტორს დაუპირისპირდნენ და შეეწინააღმდეგნენ, რომ რუსულ სექტორზე სწავლის მსურველთა განაცხადები შემოდის, თუმცა სკოლა მათ ჩარიცხვას ხელოვნურად აფერხებს.

ამჯერად, რესურსცენტრის უფროსი ამბობს, რომ ყველა ღონე უნდა იხმარონ, რომ რუსული სექტორის შენარჩუნება მოხდეს. მისი თქმით, ვითარება უკვე ჩაწყნარდა.

„რაიონის გამგებელთან ერთად შევთანხმდით, რომ ამ პრობლემას გადავწყვეტდით. იმედი სამინისტროსგანაც არის, რომ თანხების გადმორიცხვა მოხდება, რომელიც სკოლას აკლია. ახლა ტექპერსონალის ხელფასები იზრდება და იმედი გვაქვს, რომ ახალი სასწავლო წლიდან ხელფასების განსხვავებული კოეფიციენტით გამოითვლება. არის პერსპექტივა და იმედები, რომ სექტორის შენარჩუნება მოხდეს,“ - აღნიშნავს ბახუტაშვილი.

ილია მარტყოფლიშვილი

მადლს მარილსაც თუ მოაყრიან...

ეს არის ხალხის ხმა და არა ერთეულების სურვილი

როცა სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრები იმართებოდა და პრიორიტეტები იკვეთებოდა, მეგონა, სამრეკლოელები ისე არიან ამ საკითხით შეწუხებულები, პირველ რიგში ენამთისკენ მიმავალი გზის რეაბილიტაციას დაასახელებდნენ. ვიცი, ეს საკითხიც კი იყო სოფლის კრებაზე განხილვის საგანი, მაგრამ საბოლოო ჯამში უპირატესობა საბავშვო ბაღის რემონტსა და შინმოუსვლელთა ობელისკის რეაბილიტაციას მიანიჭეს.

რა თქმა უნდა, ესეც საჭირო და აუცილებლად მოსაგვარებელი საქმე იყო, მაგრამ ამ გზასაც აუცილებლად სჭირდება მიხედვა. შარშან, გვიან შემოდგომაზე, ენამთისკენ მიმავალი გზის ძირითადი ნაწილი შეკეთდა, ვგრეიდერით გასწორდა, მოიხრეშა და მოიტკეპნა. გაზაფხულზე ვენახის პატრონებს ახალმა მთავრობამ სიურპრიზად დაახვედრა შეკეთებული გზა და ხალხიც ძალიან მადლიერი დარჩა, თუმცა, ეს სამუშაოები სოფლის ბოლოდან დაიწყო, იქამდე მისასვლელი გზა კი ისეთ მდგომარეობაშია, იქ გავლა სატანჯველია. არადა, ეს ქუჩა სოფლის ცენტრიდან იწყება და სულ რაღაც ხუთიოდე კილომეტრის რეაბილიტაციაა საჭირო, რომ ენამთისკენ მიმავალმა მევენახეებმაც ამოისუნთქონ და ამ ქუჩის მაცხოვრებლებმაც.

უფლის თვალი ტრიალებს წელს ენამთაში. ზოგიერთი ვენახი, კალიებთან ბრძოლის ინტენსიური ღონისძიებების გატარების მიუხედავად, მაინც დაზიანდა, მაგრამ ძირითადი ნაწილი კარგად მსხმოიარეა. რთველიც კარზე მოგვადგა, ერთადერთი საღონისი მევენახეთათვის სწორედ ეს გაუბედურებული გზა გახლავთ, რომელიც ოდესღაც მოასფალტებული ყოფილა, ახლა სწორედ ადგილ-ადგილ დარჩენილი ასფალტის საფარისა და დროთა ჟამისაგან წყალს გაყოლილი ხრეშის გამო ისეთი ღრმულებია, მძღოლიც იტანჯება და მანქანაც ინგრევა. დიდი მადლი იქნებოდა, თუ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა რაიმე საშუალებას გამონახავდა და ამ გზასაც, ენამთის გზის მსგავსად, თუ ასფალტს ვერ დააგებდა, მოხრეშავდა მაინც. ეს იქნებოდა იმ მადლზე მარილის მოყრა, ენამთისკენ მიმავალი გზის რეაბილიტაციამ რომ გაახარა ხალხი. იმედს ვიტოვებთ, ჩვენს მიერ დაყენებულ საკითხს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა გაითვალისწინებს, რადგან ეს არის ხალხის ხმა და არა ერთეულების სურვილი.ამასთან, სართვლოდ უამრავი სტუმარიც ჩამოდის ხოლმე და ესეც გასათვალისწინებელია.

ნაირა გორაშვილი

რაც ერთხელ ცხოვლად სულს დაააჩნდების...

ბათუმის ერთ-ერთ ულამაზეს ადგილას თვალუწვდენელ სივრცეზე გადაჭიმულია გონიოაფსარუსის ციხე-სიმაგრე, რომელიც 4,75 ჰექტარს მოიცავს. ეს ისტორიული და ძირძველი ადგილი მდებარეობს მდინარე ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე.

ამ რეგიონში აღმოცენდა კოლხური ბრინჯაოს კულტურა და პირველი ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანებები: დაიაენი და კოლხა.

ციხე რომაელებმა ააგეს. დღეს აქ განახლებულია გათხრები, წინა გათხრების შედეგად კი აღმოჩენილია ამფორები, რომელიც I-III საუკუნეებს განეკუთვნება. სახეობრივად ჭარბობს იმპორტული, რაოდენობრივად კი - ადგილობრივი ნაწარმი. ამ მუზეუმში შესანიშნავად არის დაცული წყალგაყვანილობის ცეცხლგამძლე ნივთები, წყლის ხელადები, მოჭიქული კერამიკა, ფაიანსის ნაკეთობები, ჩიბუხები, რომლებიც თურქეთის საწარმოო ცენტრებში მზადდებოდა და გონიოში იმპორტის სახით შემოდიოდა.

ამ ადგილი უკავია. აქ ერთხანს ბიზანტიელები ცხოვრობდნენ, ხოლო შემდგომ ეს ციხე-სიმაგრე ოსმალთა გარნიზონად იქცა.

გონიო-აფსარუსის სახელწოდება უკავშირდება აია-კოლხეთში ლაშქრობებს, მათ მიერ აეთის ვაჟის-აფსირტეს მოწამეობრივ სიკვდილს.

ცოტა მოშორებით მყუდრო ადგილას კი წმინდა მოწამე მატათას საფლავია. თეთრი მარმარილოს ჯვარი და წმინდა მატას ხატი მიგვანიშნებს, რომ უფლის თორმეტთაგანი მოციქული მატათა სწორედ აქ აღესრულა მოწამეობრივად.

შემოგარენში განთავსებული უზარმაზარი კივის ხეივანი და ყვავილთა უნაზესი სამყარო განუმეორებელ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე.

ეს ადგილი, მართლაც, ისტორიის კუთვნილებაა. წმინდა მატათას მადლი ყველას გვფარავდეს.

მაია მოსულიშვილი

სარედაქციო ფოსტა

ამ ლექსით ვულოცავ მარიამ ღვთისმშობლის მიძინების დღეს ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის მეუფეს და ყველა მოძღვარს მრევლთან ერთად

* * *

მარიამ ღვთისმშობელო

ეოვლადწმიდაო ღვთისმშობელო, ზეციურ ნათლით,
შენ დაგვილოცე ეოველი დრე, დღე სინათლისა,
ახალი დილა გაგვითენე ლოცვით და მადლით,
მფარველო ჩემო, შეისმინე ლოცვა სულისა.
ეოველთა შენდა მოლტოლვილნი შეგავედრებთ სულს
სულზე დამადეს ბორკილი და ლოცვებით ამხსენ!
მხოლოდშობილ ძეს შეევედრე, მე გზაანეულს,
რწმენაში უფრო განმამტკიცოს, სატანა დამხსენ.
დაბნელებული სული იხსენ მწუხარე დარდით,
და მომანიჭოს ჯანმრთელობა, მშვიდი ცხოვრება.
კეთილ საქმეებს წარვუძღვე და ასე ვიცხოვრო
მადლი და ცოდვა ერთ სასწორზე არ იწონება.
შენი დიდებით გადმომხედე ფეხთით დაცემულს,
ცრემლებით შეგთხოვ, შეისმინე ჩემი ვედრება!
მიცოცხლე დიდხანს ერთადერთი ეს პატრიარქი.
შეგეწირები, ოღონდ ადრე ნუ დაბერდება.
მე ჩემს ჯრილობებს მარილს ვაყრი ჩემი ცოდვებით
ამაო აზრით განმიწმიდოს ჩემი გონება,
და ნუ მომაკლებ სასუფეველს, დედავ ღვთისაო,
შენით მომმადლე ჯეშმარიტად უფლის მონება.
გამაძლიერე, დამიხსენი და დამიფარე
და მწუხარე სულს ნუ მოაკლებ ნუგეშისცემას,
შენი დიდებით გამიქარვე მე სატანჯველი
მაგრამ... სხეული შევაჩვიე წინასწარ გვემას.
შენ, შეუწველო მაუვალო და იმედო ჩემო,
ქრისტეს წინაშე წარმადგინე ჯკვიანი ცხვარი.
შენი დიდებით განმიქარვე, მე, სატანჯველი,
„ბოლო ჟამს“ შენთან არ მოვიდე ცოდვით დამწვარი.
დამიცევ მუდამ ცეცხლოვანი ისრებისაგან,
შენ, დაღუპულთა მსაჯულო რომ დამაიმედო,
მუდამ დამიცევ მე, იესოს წამებისაგან!
ჩემი ცოდვების უფსკრულისთვის არ გამიმეტო.
მე შენს სიყვარულს, ღვთისმშობელო, გზა და გზა ვსწავლობ,
გთხოვ, მომიტევო „სამკაული“ მე თუ არა მაქვს,
მხოლოდშობილ ძეს შეევედრე მეც მომიტევოს.
ჩემი ცოდვებით რამდენჯერაც ჯვარზე გავაკარ.

მაია მოსულიშვილი

4 წელი ეპარქიის შექმნიდან



პატრიარქის დედოფლისწყაროში ვიზიტისა და ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის შექმნიდან 4 წელი შესრულდა. ცერემონია დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძარში 2009 წლის 20 აგვისტოს გაიმართა, რა დროსაც უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მრევლს ეპისკოპოსი მელქისედეკი წარუდგინა.

ეპარქიის მღვდელმსახურები და მრევლი ამ თარიღს ერთმანეთს ულოცავდა.

„ყოვლად უსამღვდელოესს ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსს მელქისედეკს ვუ-ლოცავ ეპარქიის დაარსების (აღდგინების) ოთხი წლის თავს! ასევე ვულოცავ ეპარქიის მამებსა და ძმებს, ჩვენი ეპარქიის მრევლს, რომელიც საქართველოსა და აზერბაიჯანის (ჰერეთის) ტერიტორიაზე არიან განსახლებულნი! დაგვლოცენ მეუფეო!“ — წერს იღუმენი მამა ონოფრე წულაძე.

მელქისედეკ ხაჩიძე 2009 წლის 3 მაისს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში ჰერეთის ეპისკოპოსად ეკურთხა, ხოლო მღვდელმთავრის ადგილსამყოფელად დედოფლისწყარო განისაზღვრა. მანამდე დედოფლისწყარო ბოდბის ეპარქიაში შედიოდა.

თავდაპირველად დედოფლისწყაროსა და ჰერეთის ეპარქიად იწოდებოდა, თუმცა 2010 წლის 21 დეკემბრის წმინდა სინოდის სხდომის მიხედვით ეპარქიას დაუბრუნდა თავისი ისტორიული სახელი და ეწოდა ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქია. ამჟამად, ეპარქია მოიცავს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტსა და ისტორიული საინგილოს ტერიტორიას.

ქიზიყის ღია პირველობა „ძიუდოში“

2013 წლის 25 აგვისტოს, სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ საქობოს ქართული ჭიდაობის დარბაზში ჩატარდა ქიზიყის ღია პირად- გუნდური პირველობა ჭიდაობა -ძიუდოში.შჯიბრში მონაწილეობდა ორი ასაკობრივი ჯგუფის -1999-2000 და 2001-2003 წლებში დაბადებული სპორტსმენები. ტურნირი იყო პირად-გუნდური და ჩატარდა 7 წონით კატეგორიაში. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ დედოფლისწყაროს, ლაგოდეხის, ყვარლის, გურჯაანის, ახმეტისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტების ნაკრები გუნდები.

როგორც დედოფლისწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრიდან გაზეთ „შირაქს“ აცნობეს, გუნდურ შეჯიბრში პირველი ადგილი დაიკავა დედოფლისწყაროს გუნდმა, ხოლო პირადულში, დედოფლისწყაროს სპორტსმენებმა ადგილები შემდეგნაირად გადაინაწილეს:

სოფელ არხილოსკალოდან: მწვრთნელი კახა წიკლაური

გიორგი ჟამიაშვილი - 30 კგ. წონითი კატეგორია-პირველი ადგილი.

ნიკა ბედოიძე- 55კგ. წონითი კატეგორია-პირველი ადგილი

გიორგი თინაშვილი - 40 კგ.წონით კატეგორიაში - პირველი ადგილი

ნიკა კობაიძე- 46 კგ - პირველი ადგილი

ნიკა ზვიადაური-56 კგ. - პირველი ადგილი

ბექა გაგაძე-60 კგ.-პირველი ადგილი

ნიკა ბურდული- 66კგ -პირველი ადგილი

მირიან ნარიმანიძე-40 კგ. -მეორე ადგილი

გუგა წიკლაური- 40 კგ.- მესამე ადგილი

სოფელ ზემო მაჩხაანიდან: მწვრთნელი ვაჟა მოსულიშვილი

გიორგი გუგენიშვილი-75 კგ.- პირველი ადგილი

გიორგი ალადაშვილი-50 კგ. მეორე ადგილი

ვალერი ჯავახიშვილი-45 კგ. -მესამე ადგილი

სოფელ ქვემო ქედიდან: მწვრთნელი ბორის გულიაშვილი

ნიკა ხარხელაური -25 კგ. წონითი კატეგორია - მესამე ადგილი

თორნიკე ქისტაური-30 კგ.წ.კ.- მესამე ადგილი

დათო ყაყიჩაშვილი-60 კგ. - მესამე ადგილი

მათე ჩარბოდაშვილი-45 კგ. მესამე ადგილი

ლაშა კობაიძე-45 კგ. -მეორე ადგილი

გოგიტა დიდებაშვილი-50 კგ. -მეორე ადგილი.

პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასული სპორტსმენები და გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდნენ შესაბამისი სიგელებითა და მედლებით.

რას გვეტყვი, მამაო?

რა შემთხვევაში შეიძლება ადამიანს ცოდვად ჩაეთვალოს პირჯვრის გადაწერა?

პირჯვრის გადაწერა ცოდვად შეიძლება ჩაეთვალოს ადამიანს, თუ პირჯვრის გამოსახვის დამოწმებით იგი ცდილობს, დაგვიდასტუროს სიცრუე, ფლიდობა, ყალთაბანდობა და სხვა არაწმინდა საქმე. ამით ის საკუთარ თავზე მსჯავრს მოიწევს.

ცოდვაა თუ არა ფისუნიას ყოლა ოთახში, სადაც ხატებია, თუკი ბინა ერთოთახიანია?

თუკი კატას ხატებთან შეხება არა აქვს, ფისუნიას სახლში ყოფნა დასაშვებია.

მყავს ორი დაქორწინებული ვაჟი. ერთ-ერთი, რომელიც ჩემთან ცხოვრობს, მატერიალურად უზრუნველყოფილია, მეორეს უჭირს. როდესაც გვაქვს კარგი საჭმელი და უხვად, მე ჩუმად მიმაქვს ნაწილი მეორესთან. მეთვლება თუ არა ეს ცოდვად?

შვილისადმი ზრუნვა დედას არ შეიძლება ჩაეთვალოს ცოდვად, თუ მას სხვა შვილთან ურთიერთობაში დაძაბულობა არ მოჰყვება. ამიტომ თქვენი შემდგომი ქმედება, სჯობს, ნებართვით მოხდეს.

რა ვნება მოაქვს მშობლების ბრმა სიყვარულს შვილების მიმართ?

ბევრ მშობელს, შვილის სიყვარულით დაბრმავებულს, ენანება იგი დანაშაულის ჩადენისათვის დასასჯელად, ინდობს, მაგრამ შემდგომში, როდესაც შვილები იზრდებიან და გამოუსწორებელი ხდებიან, თავად აღიარებს საკუთარ შეცდომას. ამას გარდა, ბავშვებს გადაჭრით უნდა აეკრძალოთ ურთიერთობა და მეგობრობა ავი ზნის თანატოლებთან, რადგან უკეთურება თვით კეთილგონიერებაზეც კი ახდენს გავლენას; მშობლებიც უნდა გაფრთხილდნენ, რათა მათგან ბავშვებს საცდური არ მიეწოდოთ რაიმეთი.

ვიცით, რომ ყველა ლოცვა იკითხება ფეხზე დგომით: მაშ, რატომ არის აღნიშნული ზოგიერთ ლოცვაზე: «დაუჯდომელი»?

არ არის მართალი, რომ ყველა ლოცვა იკითხება ფეხზე დგომით. მაგალითად დამჯდარმა შეიძლება წაიკითხოთ „ფსალმუნები“.

ჩემს ცოდვებს შორის ზოგი ისეთიც ურევია, რომ მოძღვრისთვის მათი თქმა მეუხერხულება, რათა მეტისმეტად არ შევრცხვე. მირჩევნია, ეს ცოდვები გარეშე, სულ უცხო მღვდელს გავუმხილო, რომელსაც სხვა დროს არასოდეს ვნახავ. ხომ არაფერს დავაშავებ ჩემი საქციელით?

ვინც თავისი მოძღვრისგან სხვა მღვდელმსახურთან მიდის საკუთარი ცოდვების დასაფარავად და მალულად მოსანანიებლად, იგი თვით სინანულისა და აღსარების საიდუმლოს შეურაცხყოფს. ჩვენ აღსარებას ვეუბნებით ღმერთს და არა მღვდელს. არსებობს ცრუ სირცხვილი, რომელიც წინ ეღობება ადამიანის გულახდილობას. ამიტომ ჩვენ თავს უნდა ვუთხრათ, რომ მივდივართ არა ადამიანის წინაშე ცოდვების საღიარებლად, არამედ უფლის წინაშე. რადგან მოძღვარი ის ადამიანია, ვინც ჩვენს სწორ რელიგიურ ცხოვრებას წარმართავს. მას უნდა ვუთხრათ ყოველივე დაუფარავად, რათა სწორი მკურნალობა მივიღოთ მისგან. სწორედ ის ცოდვები, რომლებიც ჩვენ სასირცხვილოდ მიგვაჩნია, შეიძლება აღმოჩნდეს ამ მკურნალობის უმთავრესი ორიენტირი.

ძალიან ცუდად ვარ. თავს ვერ ვპატიობ. ბავშვი დავიფიცე სიგარეტს თავს რომ დავანებებდი. რამოდენიმე თვე ასეც იყო მაგრამ მერე ისევ ნერვიულობის ნიადაგზე დავიწყე. ვიცი, საშინელი ცოდვა ჩავიდინე. ხომ არ დავისჯები ამისათვის უფლისგან რა ვქნა. როგორ გამოვასწორო ეს ჩემი დანაშაული. (მოძღვარი არ მყავს).

დაიწყეთ ეკლესიური ცხოვრება.

მონატრება

უშანგი იაკობიშვილი



ცრემლით, დარდით, ტკივილით და მონატრებით სავსე 40 დღე გავიდა, ჩვენო საყვარელო მამა! სევდამ და ტკივილმა დაამძიმა ჩვენი გულები. გვიჭირს, ძალიან გვიჭირს უშენობა, ცრემლებს ვერ ვმალავთ. არ ვიცით, რა მოვუხერხოთ ჩვენს თავს დამტყდარ უბედურებას, ცრემლიც ვერ ანელებს ტკივილს. დედა მთელი დღეები შენს ხსენებაშია, ტირის და გამოჰყურებს გზას, ელოდება, როდის შემოაღებ კარს შენი ჩვეული ენერგიით და ხალისით. შემზარავი და თავზარდამცემი იყო ის წუთი, როდესაც შენი გარდაცვალების ამბავი გავიგეთ. შენ ხომ სასიკვდილე არაფერი გჭირდა, მამა, პირიქით, მეორე დღეს ხომ ოპერაცია უნდა გაგეკეთებინა. მაგრამ ყველაფერი ღმერთის ნებაა. ახლაც კი არ გვაქვს ბოლომდე გაცნობიერებული,რომ ჩვენთან აღარ ხარ. თითქოს დაცარიელდა სახლი უშენოდ. რამდენადაც დიდი იმედი იყავი ყველასთვის, იმდენად დიდ და მოურჩენელ ტკივილად იქეცი. გამოაკლდი შენს შვილებს, შვილიშვილებს, შვილთაშვილებს, ახლობლებს, მეგობრებს, მეზობლებს, რომელთა ლხინისა და ჭირის გამზიარებელი იყავი მუდამ. მწარეა ყველა ჩვენთაგანისთვის შენზე წარსულში ლაპარაკი, მაგრამ უფრო ძნელია აწმყო უშენოდ. არ ყოფილა დრო ყველაფრის მკურნალი. დრო მიდის და უფრო გვენატრები და მეტად გვიყვარხარ, მამა!

წლები გაივლის, გაგრძელდება ცხოვრება უშენოდ, მაგრამ დრო ვერ შეანელებს იმ სიყვარულსა და ტკივილს, რომელსაც მამაშვილური სიყვარული ჰქვია.

ერთი რამ დაგვრჩა ნუგეშად, ვილოცოთ შენი სულისთვის, რათა ნათელში გამყოფოს და სამუდამო სასუფეველი დაგიმკვიდროს, ჩვენო საყვარელო მამა!

შენი ოჯახი.

მონატრება

ნუგზარ (ემზარი) ლეკაშვილი



ტირილით, დარდით და ცრემლებით ილევიან დღეები. თვე მისდევს თვეს, წელი-წელს. ჩვენ კი ველოდებით შენს ღიმილიან, კეთილ, სათნო სახეს, თითქოს საიდანღაც უნდა გამოჩნდე, ჩემო საყვარელო შვილო! 3 სექტემბერს 2 წელი გახდა, რაც იმიერ სამყაროში გადასახლდი და დაგვიტოვე ფუჭი ოცნება, დარდი, ვარამი და ცრემლები. რა არ იღონეს შენმა უბედურმა მშობლებმა, შვილებმა, ნათესავებმა ამხანაგებმა შენს გადასარჩენად, მაგრამ დაუნდობელმა სიკვდილმა იმძლავრა.. არ დაგცალდა პატარა ლაშიკოს გაზრდა, შენს მონატრებაში უნდა დალიონ სიცოცხლე შენმა უბედურმა მშობლებმა.

ისღა დაგვრჩენია, მივიდეთ შენს საფლავთან და აგინთოთ წმინდა სანთელი.

ღმერთმა სასუფეველი დაგიმკვიდროს და ნათელში ამყოფოს შენი სული.

დამწუხრებული მშობლები

რატომ არაფერი იცვლება?!

ჟურნალისტის ჩანაწერები

ხელში 2007 წლის 9 მარტით დათარიღებული გაზეთი „შირაქი“ მიჭირავს. ნომერი დედის და ქალთა დღეებს ეძღვნება. თითქმის ყველა წერილში, რომელიც მრავალშვილიან დედებს და მათ ოჯახებს ეძღვნება, ერთიდაიგივე პრობლემა დგას: უმუშევრობა, გაჭირვება, სიღარიბე... უყურადღებობა მთავრობის შესაბამისი უწყების მხრიდან... გულდაწყვეტილი მრავავალშვილიანი დედები, რომლებსაც თავი აქვთ გადადებული შვილების ლუკმა-პურისთვის... უძილაურები, ბექაურები... მათ შორისაა მაია ჩიბუხაშვილის და მიშა ფოცხვერაშვილის ოჯახი. **„უტორტოდ და უსანთლებოდ“...** ასე დამისათაურებია მაშინ წერილი, რომელიც შვიდშვილიანი ოჯახის ცხოვრებაზე მოგვითხრობს. 2007 წლის 5 მარტს მაიას 38 წელი შესრულებია. „არსად იყო დიდი ტორტი, არც სანთლები ციალებდნენ, მაგრამ იყო სითბოთი და სიყვარულით ანთებული შვიდი წყვილი თვალი. დედისთვის ეს ყველაზე დიდი საჩუქარია,“- ვწერ შესავალში. მას მერე ექვსი წელი გავიდა, გაიზარდნენ ბავშვები და ტკივილმაც იმატა. არასოდეს დამავიწყდება მარტის ის წვიმიანი და ბურუსიანი საღამო, როცა ფოცხვერაშვილების სახლში შევედი. სახლს ვამბობ, თორემ...აბანოს მიტოვებული ძველი შენობა, ნესტით და სპეციფიკური სუნით გაჟღენთილი კედლები...„ ოჯახი რომ შევქმენით, მალევე აირია ცხოვრება, არსად იყო სამუშაო, ვერ მოვასწარით ვერც სახლის აშენება და ვერც მოწყობა.უკვე ხუთი შვილი გვყავდა,სოფლის მაშინდელმა გამგებელმა თამარ ბოსტოღანაშვილმა შუამდგომლობა რომ გაგვიწია და აბანოს ეს მიტოვებული შენობა უსასყიდლოდ გადმოგვეცა. მადლობელი ვართ. პატარ-პატარა საშხაპე ოთახებში შუა კედლები მოვანგრიეთ, იატაკზე „დიქტი“ გადავაკარით და ვცხოვრობთ როგორც შეგვიძლიაო“ - გვიყვებოდა მაშინ ოჯახის უფროსი. წერილს სურათიც ახლავს: შვიდი მოზარდი დედ-მამას გარშემო შემოსხდომია და უმანკო, ალალი თვალებით იმედიანად იყურებიან.მას მერე ექვსი წელი გავიდა. მაია ახლა ორმოცდაოთხი წლის შვიდი შვილის დარდით დათრგუნული ქალია. რა შეიცვალა? სასიკეთოდ არაფერი. ამ ორი-სამი კვირის წინ კი ფოცხვერაშვილების ოჯახი მთელი საქართველოს ყურადღების ცენტრში მოექცა: ოცდაერთი წლის აკაკი ფოცხვერაშვილმა სოფელ სამრეკლოს სერაფიმე საროველის სახელობის ეკლესიის კარი გატეხა, ორმოცდათხუთმეტი ლარი მოიპარა და პური და ძეხვი იყიდა! ის სამართალდამცავებმა დააკავეს და საქმეც აღიძრა. ეს ამბავი საზოგადოების მსჯელობის საგნად იქცა. დავწერეთ გაზეთშიც, აჩვენეს ტელევიზიითაც.

კვირას, 25 აგვისტოს კი ტელეარხზე „ობიექტივი“, სადაც 5 საათსა და 30 წუთზე ახალი რუბრიკა „დედოფლისწყაროს საათი“ პირველად გავიდა,უფრო დაწვრილებითი სიუჟეტი მიეძღვნა ამ საკითხს და მე დავინახე,რომ ამ ექვსი წლის მანძილზე ფოცხვერაშვილების ოჯახში სიკეთისკენ არაფერი შეცვლილა: ისევ ის ჩამონგრეული აბანოს შენობა, ისევ სიღარიბე და სიდუხჭირე, მიუხედავად იმისა,რომ ოჯახის უფროსს მცდელობა არ აკლია, იშრომოს და როგორმე,ელემენტარულად მაინც, უზრუნველყოს ოჯახი. მე მას ხან ზეთსახდელში დამხმარე მუშად ვხედავდი, ხან ძველ ტრაქტორზე მუშაობდა, მაგრამ დიდ ოჯახს ეს არ ყოფნის. სწორედ ეს სიღარიბე არის თავი და თავი 21 წლის აკაკის ამ მდგომარეობამდე მისვლისა, მისი ჯანმრთელობის შერყევისა და ფსიქოლოგიური გაუწონასწორობლობისა. ვამბობთ, კანონი ყველასთვის ერთიაო, გეთანხმებით, მაგრამ წინა პირობაც ხომ გასათვალისწინებელია. ამით იმის თქმა სულაც არ მინდა, რომ ყველა გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფმა ადამიანმა (ისინი ჩვენი საზოგადოების დიდ ნაწილს წარმოადგენენ) კანონი დაარღვიოს და ეპატიოს, მაგრამ ხომ უნდა იცვლებოდეს რაიმე ამ კატეგორიის ადამიანებისთვის?! წლები წლებს მისდევს, იცვლებიან ხელისუფალნი და არ იცვლება სოციალური მდგომარეობა გაჭირვებული ადამიანებისთვის. არ უარვყოფთ და კარგად ვხედავთ, რომ საერთო მოხმარების ინფრასტრუქტურული ასპექტი ნამდვილად ვითარდება, გვაქვს დენი, გაზი, იგება გზები,მეტი ყურადღება ექცევა საბავშვო ბაღებს, სკოლებს, კულტურას, მაგრამ ინდივიდუალურად მოქალაქეთა მდგომარეობა წინ არ მიდის. კვლავ არ არის სამუშაო ადგილები, არასაკმარისია სოციალური დახმარებები. იტყვით,ერთ დღეში ხომ არ აშენდება ქვეყანაო?! არადა, რამდენი „ერთი დღე“ გავიდა...

ახლა კონკრეტულად აკაკი ფოცხვერაშვილის საქმეს დავუბრუნდეთ: მე, როგორც ერთ ჩვეულებრივ მოქალაქეს,დედას, ბებიას, ქრისტიანს, მიმაჩნია, რომ საპატრიარქოს ინიციატივა, არ დაისაჯოს აკაკი ფოცხვერაშვილი და იგი გადაეცეს ეკლესიას, დიდი ჰუმანური ნაბიჯია. **ზოგჯერ თვალი უნდა დავხუჭოთ კანონზე, რომლის გამოყენებაც სამართლიანი კი იქნება, მაგრამ არა შედეგიანი. ახალგაზრდა ყმაწვილის ისევ ციხეში შებრუნებით,მისგან ვერ მივიღებთ ჩამოყალიბებულ, სრულფასოვან მოქალაქეს, ისეთს, ქვეყნის აღმშენებლობას რომ სჭირდება.ამას ეკლესია უკეთ მოახერხებს. საყოველთაოდ ასე ვერ მოვიქცევით,ვერ უგულვებელვყოფთ კანონს, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ვფიქრობ, ასე სჯობია.**

დღეს, როცა ამ წერილს ვწერ, 28 აგვისტოა, ღვთისმშობლის მიძინების დიდი დღესასწაული და შევთხოვ: წმინდაო მარიამ,შენ მოხედე შენს წილხვედრ ქვეყანას, მოხედე მის გაჭირვებულ შვილებს, მიჰმადლე მხნეობა და მოთმინება და ხელი მოუმართე უკეთესი მერმისისაკენ.

ნაირა გორაშვილი

გაიღიმეთ

— თქვენ ქიმიკოსი ბრძანდებით?

— არა, ეს ჩემი ცოლის პარფუმერიის მაგიდაა.

***

ღელვის დროს, მგზავრი მივა კაპიტანთან და ეკითხება: — რა მანძილზეა უახლოესი მიწა?

— ორ მილში.

მგზავრს გაუხარდება და ჩაეკითხება: — რომრლ მხარეს?

— ქვემოთ...

***

მიხოს შეეკითხებიან: — თვენი რაიონის ქირურგი როგორი სპეციალისტიაო?

— იგეთი მაგარია, ჩაქაფული რომ მიუტანონ ცხვარ ააწყობს იქიდანაო!

***

— რად გინდათ კაბინეტში აკვარიუმი. ჰკითხეს წარმატებულ ბიზნესმენს.

— მომენატრა არსება, რომელიც პირს იმიტომ არ აღებს, რომ ფული მთხოვოს.

***

სტადიონზე ტალღას გააკეთებენ და სვანი დაიხრჩობა.

***

მამა არიგებს შვილს: - კარგი კაცი რომ დადგე, ყოველთვის უნდა იყო პუნქტუალური და ფრთხილი.

- მამა, რას ნიშნავს „პუნქტუალური“?

- იმას, რომ რასაც დაპირდები უნდა შეასრულო.

- სიფრთხილე რაღა შუაშია?

- არავის არაფერს, რომ არ შეპირდე.

***

ქალი ეუბნება კაცს:

— თქვენ მაგრად გევხართ ჩემს მესამე ქმარს!

— კი მაგრამ, სულ რამდენი ქმარი გყავდათ?

— ორი.

ულოცავენ!

სალომე ტუსაშვილს!

ჩვენო ულამაზესო და უსაყვარლესო სალომე,6 სექტემბერს 2 წელი შეგისრულდება, გვინდა, შენი ცხოვრება ბედნიერებით და სიხარულით იყოს აღსავსე. ოჯახის და ქვეყნის სასახელო შვილი გაზრდილიყავი!

ბებიები: ნონა და ლეილა, პაპა - ილია ტუსაშვილი.

ყურადღება!

იყიდება კაპიტალური საცხოვრებელი სახლი (ბელეტაეზე), ხეხილიანი ეზოთი, ჭით, დამხმარე სათავსოებით.
მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, თამარის ქუჩა N59 (ყოფილ საკონდიტროსთან).
დაგვიკავშირდით:
555 166968, 593 280648.

კაფე-მაღაზია „კაპუჩინოს“ ესაჭიროება გამყიდველი და ტორტების და ნამცხვრების მცხობელი. უმჯობესია, ჰქონდეს შესაბამისი გამოცდილება. მსურველებმა დარეკეთ
599 65 25 95.

იყიდება!

ქალაქ დედოფლისწყაროში იყიდება ორსართულიანი სახლი კარგ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. მსურველები დაგვიკავშირდით:
557 76 72 11

ერთ ოთახიანი ბინა ქ. დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქუჩაზე. გამოდგება კომერციული ფართისთვისაც. ფასი-4000 დოლარი.
571-55-9951.
599-155-549.

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 02.09	სამშაბათი 03.09	ოთხშაბათი 04.09	ხუთშაბათი 05.09	პარასკევი 06.09	შაბათი 07.09	კვირა 08.09
დღე	21 °	17 °	19 °	17 °	14 °	16 °	15 °
ღამე	20 °	16 °	17 °	14 °	16 °	14 °	14 °	13 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
551 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K